სამაგიდო თამაშები
გეოგრაფიის გაკვეთილზე

ავტორი: მაია ბლიაძე; მარინა ხარიტონაშვილი

სასწავლო სამაგიდო თამაშების გამოყენება სწავლის პროცესში მეტად პოპულარულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ისინი დაფუძნებულია იმ მცირე რაოდენობის ნივთებით მანიპულაციაზე, რომლებიც განლგაბულია მაგიდაზე ან მოთამაშეს უჭირავს ხელში. სამაგიდო თამაშებს მიეკუთვნება თამაშები სპეციალური სათამაშო მინდვრის/დაფის გამოყენებით, თამაშები ბანქოთი, კამათლებით, ჯარისკაცებით, ლოტო (ბინგო) და სხვ. ეს თამაშები სპორტული და ვიდეოთამაშებისგან განსხვავებით არ საჭიროებენ მოთამაშეთა აქტიურ გადაადგილებას, დამატებით რთულ ტექნიურ ინვენტარს ან სპეციალურ მოწყობილობებსმ სათამაშო მოედნებს, მინდვრებს და სხვ.

სასწავლო სამაგიდო თამაშები საუკეთესო საშუალებაა სასარგებლო სასიამოვნოსთან იქნეს შერწყმული. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზაციას.

სასწავლო სამაგიდო თამაშების სტრუქტურის ძირითადი კომპონენეტებია:

- მოქმედი პირები ანუ თამაშის მონაწილეები;
- თამაშის წესები, რომლებიც მოთამაშეთა საქმიანობის დიაპაზონს განსაზღვრავს;
- სიუჟეტი, რომელიც სასწავლო საქმიანობის შინაარსის განსაზღვრავს;
- სასწავლო დავალება, რომლის მიღწევასაც ცდილობს მოსწავლე თამაშის პროცესში.

გეოგრაფიის სწავლებისას მეტად ეფექტიანი და, ამავე დროს სახალისოა, სხვადასხვა სამაგიდო თამაშის გამოყენება. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

გეოგრაფიული ლოტო „მოგზურობა დედამიწის გარშემო“.

ეს არის ილუსტრირებული ლოტო, რომელიც ორი ტიპის – პატარა და დიდი ბარათებისგან შედგება. დიდი ბარათების რაოდენობა შესაძლებელია იყო 20 ცალი, ხოლო ტექსტიანი პატარა ბარათების – 120 ცალი. ნახატები მოცემულია მხოლოდ დიდ ბარათებზე, რომლებსაც ვურიგებთ მოთამაშეებს. პატარა ბარათებზე მოცემულია მხოლოდ ტექსტი, რომელიც დიდ ბარათზე გამოსახული ობიექტს ეხება და მის დახასიათებას ან მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს. ბარათები შესაძლებელია ერთხელ დაამზადოს მასწავლებელმა და სხვადასხვა კლასში გამოიყენოს. ასევე შესაძლებელია ბარათებზე გამოსახული კითხვები და ნახატების მასწავლებელმა თემატიკიდან გამომდინარე შეადგინოს.

თამაშის წესები: მოთამაშეებს თანაბარი რაოდენობით ურიგდებათ დიდი ბარათები. წამყვანი (მასწავლებელი, რომელიმე მოსწავლე) ყუთიდან მორიგეობით იღებს პატარა ბარათებს და კითხულობს ტექსტს. ის მოთამაშე, რომლის ბარათზეც მოცემულია ტექსტის შესაბამისი ნახატი, ამბობს რა არის ეს და თუ მისი პასუხი სწორეა წამყვანისგან იღებს პატარა ბარათს და მას თავის დიდ ბარათზე აფარებს შებამის ნახატს. მაგ; წამყვანი ამბობს“ ყველაზე გრძელი პარალელი“. ის მოთამაშე, რომლის ბარათზეც გამოსახულია ეკვატორი, ამობს „ ეკვატორი“ და წამყვანისგან იღებს პატარა ბარათს. შემოწმების გასაადვილებლად საჭიროა, რომ პატარა ბარათებისა და დიდ ბარათებზე გამოსახული ნახატების ნომრები ერთმანეთს ემთხვეოდეს. თამაშის გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც ყველაზე სწრაფად დაფარავს დიდ ბარათებზე გამოსახულ ნახატებს. მაგალითი: დიდი ბარათის და დასაჭრელი პატარა ბარათების ნიმუშები:

N 67 ხელოვნური თანამგზავრის გზა დედამიწის გარშემო	N 68 აზიის უდიდესი მტაცებელი ცხოველი	N 69 დედამიწის პოლუსების შემაერთებელი წარმოსახვითი ხაზი
N 70 მიწდვრის გამომსახველი ნიშანი ტოპოგრაფიული რუკაზე	N 71 დედამიწის სიღრმიდან ამომავალი ცხელი წყლის შადრევანი	N 72 ზღვა, რომელიც ესაზღვრება პოლონეთს.

კლიმატმეგობრული ადამიანი

თამაშის მიზანია მოსწავლეებს ავუმაღლოთ ცნობიერება კლიმატმეგობრული გარემოს შესახებ.

თამაშისთვის დაგვჭირდება: წინასწარ ამობეჭდილი სათამაშო დაფის სურათი A3 ფორმატის ქაღალდზე, კამათელი და 3-6 პატარა განსხვავებული ფერის ფიგურები.

სათამაშო დაფის ნიმუში

რეკომენდაცია მასწავლებელს: სათამაშო დაფა თავად მოსწავლეებსაც შეუძლიათ შექმნან ქართულ ენაზე მოცემული მინიშნებების გამოყენებით. ასევე მათ შეუძლიათ დაფა სხვანაირად გააფორმონ სურათებით.

თანაშის მსვლელობა:

თამაშში მონაწილეობას ღებულობს 3-6 მოსწავლე ან ჯგუფი. მოთამაშეებმა სათამაშო დაფაზე უნდა გაიარონ 35 ნაბიჯი. მათ თამაშის მსვლელობისას ბევრი საინტერესო დაბრკოლების გადალახვა (მინიშნებების სახით), გააანალიზება და მათი ცხოვრებაში გათვალისწინება მოუწევთ. თამაში იწყება ნიშნული start-იდან და კამათლის გაგორების შემდეგ მოთამაშეები გადაადგილდებიან კამათელზე ამოსული რიცხვის მიხედვით. თუ სათამაშო დაფაზე შესაბამის რიცხვზე წერია მინიშნება (მაგალითად 1, 3, 6 და ა.შ), ვჩერდებით, ვიაზრებთ და ჯგუფთან ვმართავთ დისკუსიას, თუ რატომ არის აუცილებელი მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინება, რომ ეს დაგვეხმარება ჩვენი ცხოვრება მაქსიმალურად მდგრადი და ეკომეგობრული გახდეს. იმ შემთხვევაში თუ მოთამაშეს არ ხვდება რაიმე დაბრკოლება იგი გამოტოვებს სვლას. მაგ. პირველ რიცხვზე (1) მითითებულია შემდეგი ფრაზა: „You forgot to switch off the lights. Miss a turn" (თქვენ დაგავიწყდათ სინათლის ჩაქრობა. გამოტოვეთ სვლა), ეს მინიშნება მიგვითითებს, რომ ყოველთვის უნდა ვიყოთ ყურადღებით, გამოვრთოთ ნათურები და შესაბამისად დავზოგოთ ელექტროენერგია.

სათამაშო დაფაზე მოცემული მინიშნებების თარგმანი:

1. თქვენ გავიწყდებათ სინათლის ჩაქრობა. გამოტოვეთ სვლა.

3. თქვენ მიირთმევთ ადგილობრივი წარმოების ბოსტნეულს. გადადით წინ 2 ბიჯით. (თქვენ უპირატესობას ანიჭებთ ადგილობრივ პროდუქტს და არ მიირთმევთ იმპორტირებულს, შესაბამისად თქვენ ხელს უწყობთ ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას).

6. თქვენ რგავთ ხეებს! შეიმოკლეთ გზა და გადადით მე-14 ველზე. (ჩვენ ვზრუნავთ ატმოსფეროს დაბინძურების შემცირებაზე და ჩვენი წვლილი შეგვაქვს ჟანგბადით მომარაგებაში).

9. ქარის ენერგია გაძლევთ ძალას! გადადით წინ 2 ბიჯით. (ალტერანტიული ენერგიის გამოყენება ყოველთვის მდგრადია და ეკოლოგიურად მეგობრული).

12. თქვენ დაგრჩათ თქვენი დამტენი ქსელში შეერთებული. დაბრუნდით უკან 2 ბიჯით. (არ დატოვოთ ელექტრომოწყობილობები ჩართული, როცა გადიხართ შენობიდან. ამით ჩვენ ვზოგავთ ელექტროენერგიას);

16. თქვენ სკოლაში მანქანის მაგივრად მიდიხართ ველოსიპედით. გადადით წინ მე-19 ველზე. (ალტერნატიული ტრანსპორტის გამოყენებით ჩვენ ვზოგავთ ნახშიროჟანგის ემისიების გაფრქვევას ატმოსფეროში).

21. თქვენ იღებთ შხაპს აბაზანის მაგივრად. გადადით წინ 1 ბიჯით. (თქვენ ზოგავთ მტკნარი წყლის მოხმარებას, შესაბამისად ზრუნავთ მის ეკონომიურად გამოყენებაზე).

23. გარეთ ცივა. თქვენ ჩართეთ გათბობა სვიტერის ჩაცმის მაგივრად. გადადით უკან 3 ბიჯით. (ნუ ჩავრთვავთ გამათბობლებს საჭიროების გარეშე, ამით ჩვენ ვზოგავთ ელექტროენერგიას).

25. თქვენ იყენებთ განახლებად ენერგიას სახლის ენერგიით მომარაგებისთვის. გადადით წინ 2 ბიჯით. (განახლებად ენერგიას პრიორიტეტული ადგილი უჭირავს 21-ე საუკუნეში, რადგან მისი გამოყენება გვეხმარება ტრადიციული ენერგიის წყაროების დაზოგვაში, რომლებიც ამოწურვადი და აღუდგენელი რესურსია და თანდათან ილევა).

26. თვითმფრინავის მაგივრად გადაადგილდებით მატარებლით. გააგორეთ კამათელი თავიდან. (მატარებლით მოგზაურობისას ვზოგავთ ნახშიროჟანგის ემისიების გაფრქვევას).

29. თქვენ იყენებთ პოლიეთილენის ჩანთას საყიდლების დროს. უკან გადადით 2 ბიჯით. (გამოვიყენოთ ეკოლოგიურად ბიო გადამუშავებადი პროტუქტები, რადგან პოლიეთილენი ეკოლოგიურად არამდგრად პროდუქტია, რომელსაც მრავალი წელი სჭირდება გახრწნისთვის).

31. თქვენი სახლი არ არის საგულდაგულად თბოდაცული. გამოტოვეთ სვლა. (შეეცადეთ სახლის გასათბობად გამოიყენოთ მზის პანელებით მიღებული ენერგია).

32. თქვენ გადაამუშავებთ თქვენსავე ნარჩენებს. გააგორეთ კამათელი თავიდან. (თუ თქვენ შესაბამისად ახარისხებთ ნარჩენებს (ქაღალდი, პლასტმასი, მინა), თქვენ ნამდვილად ეკომეგობრული პიროვნება ხართ და ზრუნავთ გარემოზე).